

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №49

16 დეკემბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ააიპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი მისი დირექტორის მარიამ გოგობერიშვილის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორე მხრივ შპს „პაპირუსპრინტი“ დირექტორის დიმიტრი კვეკვესკირის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: საკანცელარიო საქონელის შემენა გამარტივებული წესით (CPV 30100000 – 198,87 CPV22800000-142,28) მახასიათებლები მოცემულია დანართ #1-ში

## 2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 10 სამუშაო დღე.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 341,15 (სამას ორმოცდაერთი ლარი და 15 თეთრი) ლარს.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: დირექტორი მარიამ გოგობერიშვილი

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ხელშეკრულების ყველა პირობა და განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უმაღლეს დონეზე.

5.3 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს დირექტორი მარიამ გოგობერიშვილი

### 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შემდეგ იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

8.4 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 10. ფორსმაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთ ვალდებულებათა ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით (ხანძარი, წყალდიდობა და სხვა სტიქიური მოვლენები, ომები, ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა) თუ ისინი უშუალო ძემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2 ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ მხარე რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება კანონმდებლობით.

11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 20 იანვრამდე

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

ააიპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი

ს/კ 239396346

მის: საჩხერე-თავისუფლების 3

დირექტორი

მარიამ გოგობერიშვილი

ტელ : 599 11 57 51

  


მომწოდებელი

შპს „პაპირუსპრინტი“

ს/კ 205277742

სს ლიბერთი ბანკი

ბ/ნ LBRTGE22

ა/ა GE69LB0113166308205000

მის: ქ.თბილისი აკაკი ბელიაშვილის ქ.157

ტელ: 2 24 05 05 (599100474) 595330299

დირექტორი:

დომიტრი კვეკვესკირი

  


ხელშეკრულების დანართი N1

მიმწოდებლის დასახელება: შპს პაპირუსპრინტი

16,12,2016

#	არტიკული	საქონელი	წაოდენობა	ფასი	თანხა:
1	cpv 22851000	ბაინდერი A4 განიერი (დივიდერით) აწყობილი A4/3	10 ცალი	3,4375	34,38
2	cpv 22851000	საკანცელარიო ჟურნალი 96ფ იბ(006) უჯრებიანი	30 ცალი	1,5500	46,50
3	cpv30197620	ქალაქი ფერადი Max RAINBOW 100ფ A4 80გრ (MIX)	42 შეკვრა	3,5750	150,15
4	cpv30199000	ფერადი საკანცელარიო ღრუბელი SF276354	3 შეკვრა	2,7074	8,12
5	cpv30199000	ფერადი საკანცელარიო ღრუბელი ბრჭყვილა წებვადი SF276385	3 შეკვრა	5,9054	17,72
6	cpv 30192121	კალამი Orion Rocket ლურჯი	60 ცალი	0,1513	9,08
7	cpv 30192121	კალამი 857/2 (ლურჯი)	10 ცალი	1,3800	13,80
8	cpv22816300	ჩასანიშნი წებვადი PAPERLINE 100ფ 76*50 CANARY	7 შეკვრა	0,5195	3,64
9	cpv22816300	ჩასანიშნი ფერადი PAPERLINE 435ფ 9*9 (ღია)	7 ცალი	1,8700	13,09
10	cpv22816300	ყდა FOSKA ასაკინბი 100 ც PC2004 200 მკრ გამჭვირვალე	1 შეკვრა	20,9000	20,90
11	cpv22852000	საქალაქე A3 კნოპკით SCB-209C	2 ცალი	0,8250	1,65
12	cpv 22851000	ბაინდერი LAF3 A4 განიერი იისფერი	1 ცალი	2,3375	2,34
13	cpv 22851000	ბაინდერი LAF2 A4 ვიწრო მწვანე	3 ცალი	2,3375	7,01
14	cpv 22851000	ბაინდერი LAF2 A4 ვიწრო წარინჯისფერი	2 ცალი	2,3375	4,68
15	cpv 22851000	ბაინდერი LAF2 A4 ვიწრო ცისფერი	2 ცალი	2,3375	4,68
16	cpv22816300	ჩასანიშნი ქალაქი წებვადი 400ფ ARK1036	2 ცალი	1,7050	3,41

სულ: 341,15

მათ შორის დღგ: 44,95

აიპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი

დირექტორი

მარიამ გოგობერიშვილი

შპს პაპირუსპრინტი

დირექტორი

დემეტრი კვციკელაძე